ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის №24.242305512 ბრძანებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა

სხდომის ოქმი N5

ზუგდიდი, 19 აპრილი 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის მერია. სხდომის დაწყების დრო 12:00 საათი.

დღის წესრიგი

1.ანა ფიფიას საკითხის განხილვა

- განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდის გურამიშვილის ქ.N32 -ში მცხოვრები ანა ფიფიას მშობლის განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/242308959-24, N:19/242310250-24) რომელიც ეხება ქუთაისის ზ.ფალიაშვილის სახ. N2 სამუსიკო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის ანა ფიფიას თურქეთში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალ „ჰარმონია"-ში მონაწილეობის მისაღებად მგზავრობის ხარჯის დაფინანსებას. წარმოდგენილი აქვს 605 ლარის ინვოისი.•**არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსურ ხელშეწყობა. მუხლი N7.**

2.კონსტანტინე კვინჩიას საკითხის განხილვა

- განსახილველად შემოგვაქვს რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები კონსტანტინე კვინჩიას განცხადება (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/2423101128-24) რომელიც ეხება სახატავი მასალების შეძენას. წარმოდგენილი აქვს 1994,00 ლარის ინვოისი.•**არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსურ ხელშეწყობა. მუხლი N7.**

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.
- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი-კომისიის წევრი;
- **ბელა ხუბუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

- **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხიები.

პირველ საკითხად მოისმინეს: ზუგდიდის გურამიშვილის ქ.N32 -ში მცხოვრები ანა ფიფიას მშობლის განცხადებები რომელიც ითხოვს ანა ფიფიას თურქეთში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალ „ჰარმონია"-ში მონაწილეობის მისაღებად მგზავრობის ხარჯის დაფინანსებას.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

ნათია ფიფია- ანა ფიფია ჩემი სკოლის მოსწავლე იყო. ძალიან შრომისმოყვარე და ყოჩაღი გოგოა. თურქეთში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში წარმატებულ გამოსვლას ვუსურვებ.

მეორე საკითხად მოისმინეს: რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები კონსტანტინე კვინჩიას განცხადება, რომელიც ითხოვს სახატავი მასალების შეძენას.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ჩვენი პროგრამა ბევრ შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს ყველა მიმართულებით განვითარდნენ. რაც შეეხება, კონსტანტინეს მხატვრობის ნიჭის განვითარებისთვის სჭირდება ჩვენი ხელშეწყობა. მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

გიგლა სულამანიძე- კონსტანტინე 2019-2020 წლებში უწმინდესის ილია მეორის კურთხევით ჩატრებულ კონკურსში ღებულობდა მონაწილეობას, წარმოდგენილი ჰქონდა ნახატები საეკლესიო თემებზე, სადაც საპრიზო ადგილი აიღო. ის მიზანდასახული ახალგაზრდაა, ცდილობს მეტად განვითარდეს და ქალაქს გააცნოს თავი უკეთესი ნამუშევრებით. მე მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, გამოეყოს ერთჯერადი ფულადი დახმარება ანა ფიფიას და კონსტანტინე კვინჩიას არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა მუხლი N7 შესაბამისად.

გადაწყვეტილება:

1.ანა ფიფიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 605 (ექვსასხუთი) ლარი.
2.კონსტანტინე კვინჩიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1200 (ათასორასი) ლარი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

კომისიის წევრები:

ზამირა ღადუა

კობა ჯიქია

გიგლა სულამანიძე

ზაზა გაბისონია

ნათია ფიფია

მამუკა ბულია

ია ეხვაია

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა